მემორანდუმი
თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 5 მაისი, 2017 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში „სასწავლო ცენტრი"), წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის, ხათუნა კასრაძის სახით და მეორე მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, წარმოდგენილი თამარ ქალდანის, სახით (შემდგომში - „მხარეები") ამ მემორანდუმის ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოპულარიზაცია ერთობლივი პროგრამების დაგეგმვითა და განხორციელებით.

3. მემორანდუმის ამოცანები

3.1. მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, ერთობლივი ძალისხმევით დაგეგმონ და განახორციელონ ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სხვა პროექტები;

3.2. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყოს სასწავლო ცენტრის რესურსის (მათ შორის, ყვარლის სასწავლო ცენტრში) გამოყოფა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისთვის შეღავათიან პირობებში.

3.3. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტმა უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ორგანიზება /ადმინისტრირება.

3.4. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრი ორგანიზებას გაუწევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის თანამშრომელთა შერჩევის კონკურსის წერით ეტაპს.

3.5. პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე ერთობლივად დაგეგმილ ტრენინგებსა და/ან სამუშაო შეხვედრებისთვის მხარეები უზრუნველყოფენ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალის ერთობლივად მომზადებასა და არსებული მასალების ურთიერთგაზიარებას..

3.6. სხვადასხვა მომიჯნავე თემაზე ტრენინგების და სემინარების განხორციელებისას მოწვეული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელი ინსპექტორის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და არსებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე მემორანდუმით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამავე მემორანდუმით დადგენილი მიზნების გათვალისწინებითა და მათთვის უპირატესობის მინიჭების გზით.

4.3. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

4.4. მემორანდუმში მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატების შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობითი სახით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

4.5. მემორანდუმი დადებულია განუსაზღველი ვადით, თუ ერთი მხარე მეორეს წერილობით და ერთი თვით ადრე არ შეატყობინებს თავისი განზრახვის შესახებ მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

4.6. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
მისამართი: სანდრო ეულის ქ N3ა	მისამართი: ნ. ვაჩნაძის 7, თბილისი
ტელ: (+995 32) 2405 785	ტელ : (+995 32) 2421000
დირექტორი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი
ხათუნა კასრაძე	თამარ ქალდანი